სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება

№53

ქ. ოზურგეთი 30 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ შპს „სატისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ცერცვაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პნ PN“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა გოგიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ს¹“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

2.1 CPV31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3950 (სამიათასცხრაასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.3. ერთეულის ფასი და მახასიათებლები მოცემულია დანართ №1- ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. **ანგარიშსწორების წესი**

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრული მიწოდების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. დაფინანსების წყარო ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტი;

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრული მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
4.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს შპს „სატისი"–ის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 5 სექტემბრი.
6.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე: ქ. ოზურგეთი
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
6.4. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის" საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველს" თანხის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. „მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

8. საგარანტიო პირობები

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტს;

9. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

9.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, ღირებულება, ჯამური თანხა, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება–ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შპს „სატისი"–ის დირექტორი დავით ცერცვაძე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისშესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების

10.2. 0,5%–ის ოდენობით;

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%–ის ოდენობით;

10.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.6. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება „მიმწოდებელს" მოწოდებული საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ იქნება მიწოდებული „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა „შემსყიდველის" სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს „შემსყიდველის" სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და გაწეული მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა „შემსყიდველის" სასარგებლოდ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

11.3. „შემსყიდველი" ვალდებულია 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

11.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

13. ფორს–მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 (სამი) დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;

13.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს–მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. **დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტათ მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. **დამატებითი პირობები**

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. **მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი:
შპს „სატისი“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გურიანთის
ადმინისტრაციული ერთეული ქუჩა №01
ადმინისტრაციული შენობა №111
ს/კ437066201
სს „ლიბერთი ბანკი”
კოდი: LBRTGE22
ა/ა GE15LB0113190212510000

მიმწოდებელი:
შპს „პნ PN“
მის.: ქ. თბილისი გლდანი-ნაძალადევის რ-ნი
რ. ურიდიას ქ. №57

ს/კ: 400096677
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“
კოდი: MIBGGE22
ა/წ: GE75PC0223600100012227

დავით ცერცვაძე
დირექტორი

პაატა გოგიშვილი
დირექტორი

დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
მდორე გამშვები 3RW	4055-6BB44 75KW	ცალი	1	3700	3700
ელექტრო ავტომატური ამომრთველი	MCCB SHM1-250A	ცალი	1	250	250
ჯამი სულ დღგ-ს ჩათვლით					3950

შემსყიდველი:
შპს „სატისი“

დავით ცერცვაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „პნ PN“

პაატა გოგიშვილი
დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2018წლის 30 ივლისი

ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შპს,,სატისი" საჭიროებისთვის - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში შპს,,PN"-თან ინტერესთა კონფლიქტსი არ ვიმყოფებით.

შპს,,სატისი"-ს დირექტორი: ---------- /დავით ცერცვაძე/